ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისთვის (მეორე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 9 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://ianus.uaic.ro/ianus/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**აკადემიური პერსონალი**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ დოკუმენტი არ არის ინგლისურ ენაზე)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ). ტესტი არ ეხებათ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს, რომელთა სამუშაო ენა არის ინგლისური (ან შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა ენა: გერმანული, იტალიური და ა.შ) და თუ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლიათ. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ არ მიიჩნიოს ენის სერთიფიკატის ქონა, ამ შემთხვევაში შეავსეთ და ატვირთეთ დანართი 1. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სამუშაო გეგმა	უნდა შეიცავდეს დაგეგმილი ტრენინგის, სწავლების, კვლევის ან/და თანამშრომლობის აქტივობებს (დანართი 2)
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან (თუ სავალდებულოა თქვენი სასურველი უნივერსიტეტისთვის)	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევითი განყოფილების, ფაკულტეტის, მიმართულების, ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის წერილი, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის (შერჩევის შემთხვევაში)
CV	ევროპული ფორმატი

რეკომენდაციის წერილი	მშობლიური უნივერსიტეტის მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. იაშის უნივერსიტეტი, რუმინეთი
2. კარლ-ფრანცეზის უნივერსიტეტი, გრაცი, ავსტრია
3. ლილი 1: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
4. მონპელიე 2: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
5. ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი, გერმანია
6. გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია
7. იაგელონიის უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი
8. ბატეი ბელის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი
9. გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://ianus.uaic.ro/ianus/academic-offer
მობილობის პერიოდი: 2014/2015 – 2015/2016 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 1 თვე
სტიპენდია მოიცავს 2500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 20 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge